

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” წარმოგიდგინთ ინფორმაციას ქედის მუნიციპალიტეტის იმ თანამდებობის პირების შესახებ, რომლებმაც არასრულად შეავსეს დეკლარაცია, არ ასახეს ინფორმაცია საკუთარი ან/და ოჯახის წევრთა ქონებისა და კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ და ასევე, ეწევიან თანამდებობასთან შეუთავსებელ საქმიანობას.

კვლევის ფარგლებში 20-ზე მეტი დეკლარაცია იქნა შესწავლილი, რომელთაგან **8 შემთხვევაში თანამდებობის პირებს არასრულად აქვთ ინფორმაცია მითითებული. გარდა ამისა, გამოვლინდა თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის ერთი შემთხვევა, რაც შესაძლო კანონდარღვევაა და საჯარო სამსახურის ბიუროს მხრიდან შესაბამის რეაგირებას საჭიროებს.**

## შუქრი თურმანიძე

ქედის საკრებულოს თავმჯდომარე



შუქრი თურმანიძეს 2017 წლის 29 დეკემბერს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული, რომ 100%-იან წილს ფლობს შპს [„ექსპრეს-გარანტი“](#).

## რომან დავითაძე

ქედის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე



რომან დავითაძეს 2018 წლის 21 აგვისტოს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული, რომ მისი მეუღლე, ნონა თებიძე ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1577კვ.მ მიწის [ნაკვეთის](#) თანამესაკუთრეა.

## არჩილ გორგილაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე



არჩილ გორგილაძეს 2018 წლის 22 იანვარს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული დედის, მზია ნაკაშიძის საკუთრებაში არსებული 15.39 კვ.მ. [ფართი](#) ქედაში, აბუსერიძის ქუჩაზე.

## ტარიელ მანველიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე



ტარიელ მანველიძეს 2018 წლის 5 მარტს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული, რომ იგი ფლობს 2036 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის [ნაკვეთს](#) ქედაში, სოფელ მოსიაშვილებში.

## გურამ ბერიძე

ქედის მერის მოადგილე



გურამ ბერიძეს 2018 წლის 19 სექტემბერს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული, რომ შპს „ბეტას“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია, რაც [საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის](#) დარღვევაა. კანონის თანახმად, თანამდებობის პირს არ აქვს უფლება იყოს სამენარმეო დაწესებულების ხელმძღვანელი.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” საჯარო სამსახურის ბიუროს მოუწოდებს კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეისწავლოს დასახელებული თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.